

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2026 წლის 13 იანვრის #4/01-01 ბრძანებისა საფუძველზე

გამოცხადებული კონკურსის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 19 თებერვლის #8/2026 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

2 მარტი 2026

სხდომას ესწრებოდნენ

თსუ მე-2 კორპუსი, ოთახი # 216

სხდომას კომისიის 4 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი:

1. ალექსანდრე შენგელაია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ალექსანდრე თევზაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. გიორგი ციციშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. თამარ ჭელიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის გადაცემა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე შენგელაიას ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმრთელე დარღვეული არ იყო.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე **კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის** (ა-კატეგორია) ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - დოქტორმა **ამირან ბიბილაშვილმა**.

კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

აღინიშნა, რომ ამირან ბიბილაშვილის

განათლება: 1965-1970 თსუ ფიზიკის ფაკულტეტი, (ფიზიკოსი; მყარი სხეულების ფიზიკა

- დიპლომი III № 280731, 1.07.1970. მაგისტრთან გათანაბრებული)
- **აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი:** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; კვანტური სითხეების და მყარი სხეულების ფიზიკის სპეციალობით (2001);
- **სამსახურებრივი გამოცდილება:** 2006-2025 - თსუ კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი; 2011-დღემდე - სსიპ მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტის დირექტორი; 2007-2010 - „ლიქუიდ ლაით ინკ-ის ფილიალი საქართველოში“, დირექტორის მოადგილე; 2002-2006 - თსუ მიკროელექტრონიკის კათედრის პროფესორი; 1998-2002 თსუ მიკროელექტრონიკის კათედრის დოცენტი; 1983-1988 - თსუ მიკროელექტრონიკის ს/კ ლაბორატორია, განყოფილების გამგე; 1970-1983 - სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „მიონი“, უმც.მეცნიერ თანამშრომელი, უფრ. ინჟინერი, ინჟინერი, ტექნიკოსი.
- **პედაგოგიური სტაჟი:** 6 წელზე მეტი,
- **შეთავსებით მუშაობა:** სსიპ მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტის დირექტორი

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა **I კატეგორიის** მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“**.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღინიშნა, რომ კონკურსანტის **პედაგოგიური გამოცდილება:** 2009-2019 თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მის მიერ **შემოთავაზებული და წაკითხული კურსები** ბაკალავრიატის 6 და მაგისტრატურის 6 საგანში, **სასწავლო-მეთოდური საქმიანობა:** თანამედროვე ნანოტექნოლოგიები, ახალი მასალები და ხელსაწყოები; თსუ-2021წ., 223 გვ; სტიმულირებული პროცესები მიკრო- და ნანოელექტრონიკაში; თსუ-2020წ., 103 გვ; დიელექტრიკების ფიზიკა, ტექნოლოგია, გამოყენება; თსუ-2015წ., 195გვ; ნანოტექნოლოგია და ახალი მასალები; თსუ-2011წ., 188გვ; ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკა; თსუ-2009წ., 416გვ; თანამედროვე ნანოტექნოლოგიები, <http://e-learning.tsu.ge> ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტსა და ფიზიკის დეპარტამენტზე განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო/არჩევითი კურსებია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულიად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა ამირან ბიბილაშვილმა მიიღო შეფასება „მაღალი“.**

III კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს **11** პუბლიკაცია WEB of SCIENCE იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში, **14** სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, **20** პატენტი, უკანასკნელ წლებში მონაწილეობდა **12** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში; ბოლო **6** წელიწადში **3** საგრანტო პროექტი. **თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან:** სამეცნ.ცენტრი “Technikal Borialisi” (აშშ), ბელარუსიის რადიოტექნიკისა და ინფორმატიკის უნივერსიტეტი, ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ანკარა - ბილკენტის უნივერსიტეტი, პარიზი - საკლეს უნივერსიტეტი; GEMaC-ის კვლევითი ჯგუფი. **მისი ციტირების ინდექსია 186, h-7, g-4**, სამეცნიერო კვლევების თემატიკა და შინაარსი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიისათვის შესავსებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული

ნაშრომი: *Fermi-level tuning of G-doped layers*; A.Tavkheldidze, Amiran Bibilashvili, L.Jangidze, N.E. Gorji; *Nanomaterials*, V.11, p.505; p.1-8; DOI:10.3390/nano14231889 არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია **WEB of Science იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში (4.7 იმპაქტ ფაქტორით).**

სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში კონკურსანტი კონკურსანტი ხაზს უსვამს სამ ძირითად ასპექტს: 1) სამეცნიერო სფეროს აქტუალობა; 2) სფეროს პრობლემების და მის მიერ გადაწყვეტის მცდელობის გზები და შედეგები; 3) საქართველოში მეცნიერების ამ დარგის განვითარების გზები და პერსპექტივები. სამეცნიერო კვლევების კონცეპციაში დეტალურად და ყოვლისმომცველად არის განხილული სამივე ძირითადი ასპექტი: არგუმენტირებულად არის ნაჩვენები კონდენსირებული გარემოს და მისი ქვედარგის მიკრო და ნანოელექტრონიკის აქტუალობა თანამედროვე მსოფლიოში; სფეროს გამოწვევები და კონკურსანტის ნიშა; საქართველოში დარგის განვითარების პერსპექტივები. განხილულია რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას საქართველოში დარგის მხარდაჭერისთვის: ახალგაზრდა მეცნიერების სტაჟირება, კავშირი ბიზნეს სექტორთან და ა. შ.

შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“**

IV სხვა სახის აქტივობა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა „გამოყენებითი ფიზიკის“ მიკრო და ნანოელექტრონიკის მოდულის ხელმძღვანელი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „ფიზიკა“ „მიკრო და ნანოელექტრონიკის“ მოდულის ხელმძღვანელი; სამი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურის დაცვით გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება.

პრეტენდენტმა დეტალურად აღწერა ბოლო წლების სამეცნიერო და აკადემიური აქტივობა. მან ისაუბრა მიმდინარე სამეცნიერო პროექტებზე, პატენტებზე, კვლევებში სხვადასხვა საფეხურის სტუდენტების ჩართვის მნიშვნელოვნებაზე. პრეტენდენტმა ხაზი გაუსვა თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის თანამედროვე ექსპერიმენტული მეთოდების სწავლების ადრეულ ეტაპზე გაცნობა.

კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტს დაუსვა შეკითხვები:

- კომისიის თავმჯდომარემ პროფ. ალექსანდრე შენგელაიამ პრეტენდენტს დაუსვა შეკითხვა სამეცნიერო საგრანტო პროექტის შესახებ, რომელიც 2026 წელს დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.
- პროფ. ალექსანდრე თევზაძემ პრეტენდენტს დაუსვა შეკითხვა პატენტების მართვის შესახებ;
- ასოც. პროფ. თამარ ჭელიძემ პრეტენდენტს დაუსვა შეკითხვა ერთერთი საკვლევო ობიექტის გალიუმის ოქსიდის მახასიათებლების შესახებ;
- ასოც. პროფ. გიორგი ციციშვილმა პრეტენდენტს დაუსვა შეკითხვა მიღებული შედეგების პრაქტიკაში დანეგვის შესახებ.

პრეტენდენტმა ამომწურავი პასუხები გასცა შეკითხვებს. მან ისაუბრა მიკრო- და ნანო-ელექტრონიკის თანამედროვე ტენდენციებისა და მისი მიერ დაგეგმილი სამეცნიერო კვლევების როლის შესახებ თანამედროვე მეცნიერებაში; კონკურსანტმა ასევე ისაუბრა მიკრო- და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტთან თანამშრომლობის გაძლიერებისა და თსუ სხვადასხვა საფეხურის სტუდენტების ჩართვის შესახებ ინსტიტუტის აქტივობებში.

პრეტენდენტმა გასაუბრების ეტაპზე წარმოაჩინა მაღალი პროფესიული კომპეტენცია, ფართო სამეცნიერო ხედვა და შემდგომი კვლევების განვითარების მკაფიო გეგმა. მისი პასუხები გამოირჩეოდა სიღრმისეულობითა და არგუმენტირებულობით, რაც ადასტურებს როგორც მის სამეცნიერო, ასევე პედაგოგიურ გამოცდილებას. შესაბამისად, გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტ **ამირან ბიბილაშვილის** კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ფიზიკის დეპარტამენტის **კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია ა)** მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი.

ფიზიკის დეპარტამენტის კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია ა) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი **ამირან ბიბილაშვილის** კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრის, ფიზიკის დეპარტამენტის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით: ამირან ბიბილაშვილი მრავალი წლის განმავლობაში არის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს პროგრამების განვითარებაში, განსაკუთრებით კვლევაზე დამყარებული სწავლების განვითარებაში; ინტენსიურად მუშაობს სტუდენტებთან მათ

სამეცნიერო კვლევებში ჩასართავად; მიჰყავს საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი კურსები, არის არაერთი სახელმძღვანელოს ავტორი. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის ნაყოფიერ და წარმატებულ ადმინისტრაციულ, აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას, ასევე მის პროფესიულ უნარ-ჩვევებს და პიროვნულ თვისებებს: ამირან ბიბილაშვილა აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 11 გამოქვეყნებულია WEB of Science იმპაქტ ფაქტორის მქონე გამოცემებში, არის 20 პატენტის ავტორი, სამეცნიერო საგრანტო პროექტების ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი, იგი არის სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტას" მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტის დირექტორი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპანიებთან ურთიერთობის თვალსაზრისით და მეცნიერება ტევადი ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით.


კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის (ა კატეგორია) ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა დოქტორი **ამირან ბიბილაშვილი**.
2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად გაადგინა: შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

თარიღი 02.03.2026

პროფ. ალექსანდრე შენგელაია
კომისიის თავმჯდომარე;



პროფ. ალექსანდრე თევზაძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;



ასოც.პროფ. გიორგი ციციშვილი
კომისიის წევრი



ასოც. პროფ. თამარ ჭელიძე
კომისიის მდივანი

